საგადახდო დავალების შესრულებისთვის აუცილებელი რეკვიზიტები

სალარე საგადახდო დავალება:

► მიმღების დასახელება;

► მიმღების ანგარიშის ნომერი(IBAN);

► მიმღები ბანკის კოდი;

► გადახდის დანიშნულება

სავალუტო საგადახდო დავალება:

► მიმღების დასახელება;

► მიმღების ანგარიშის ნომერი (IBAN);

► მიმღები ბანკის კოდი;

► მიმღების იურიდიული მისამართი

► მიმღების რეზიდენტობის ქვეყანა

► გადახდის დანიშნულება

თუ გადარიცხვას ახორციელებს მეწარმე სუბიექტი და გადასარიცხი თანხა აღემატება 30 000 ლარის ექვივალენტს უცხოურ ვალუტაში, დამატებით უნდა წარმოადგინოთ გადარიცხვის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი.

სავალუტო საგადახდო დავალების შემთხვევაში დამატებით შეიძლება ჩამოიჭრას შუამავალი ბანკის მომსახურების საკომისიო.

საგადახდო დავალების მიღების და შესრულების ვადები

საგადახდო დავალებების მიღებას ბანკი ახორციელებს ფილიალის სამუშაო საათების მიხედვით.

საოპერაციო დღის განმავლობაში კლიენტებისგან მიღებული საგადახდო დავალებების შესრულება ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში ხდება იმავე სამუშაო დღეს, თუ გადამხდელი და მიმღები პირები პროკრედიტ ბანკი საქართველოს კლიენტებია.

საოპერაციო დღის 16:30 სთ-ის შემდეგ კლიენტებისგან მიღებული საგადახდო დავალებების შესრულება ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში ხდება მომდევნო სამუშაო დღეს, თუ მიმღები პირი არ არის პროკრედიტ ბანკი საქართველოს კლიენტი.

საოპერაციო დღის 16:30 სთ-ის შემდეგ, 24/7 თვითმომსახურების სივრცეში მიღბული საგადასდო დავალებები შესრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

საგადახდო დავალების გამოთხოვა - კლიენტს უფლება აქვს გამოითხოვოს ბანკისათვის მიცემული საგადახდო დავალება, სანამ რეალურად არ მომხდარა მისი საბანკო ანგარიშიდან თანხის გადარიცხვა (ჩამოწერა) და/ან გადარიცხვა არ არის დამოწმებული შტამპით "განაღდებულია".